პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 ხუთშაბათი 21 ივლისი № 168 (16908) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის სხდომა

გაიმართა საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის პირველი სხდომა. იგი მიეძღვნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავებისათვის მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

თავის გამოსვლაში ამხ ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, რომლითაც აღინიშნა ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის მზადება. საქართველოს მშრომელები მხურვალე დაინტერესებით განიხილავენ და ერთსულოვნად იწონებენ ჩვენი ცხოვრების ძირითად კანონს, შეაქვთ წინადადებანი კონსტიტუციის პროექტის ცალკეული განყოფილებებისა და მუხლების გამო. ამ საკითხს მიეძღვნა პარტიული კომიტეტების პლენუმები, აქტივის კრებები, პარტიული კრებები, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სესიები.

რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ზრდას მოწმობს ის, რომ შვიდი ათასზე მეტ კრებაზე, რომლებსაც 300 ათასზე მეტი კაცი ესწრებოდა, გამოვიდა 54 ათასზე მეტი კაცი, რომელთაც 57 ათასი წინადადება შეიტანეს.

კრებები იმართება მაღალიდეურ დონეზე, წარმოების კონკრეტულ ამოცანებთან მჭიდრო კავშირით. რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას უპასუხებენ იმით, რომ კისრულობენ ახალ, გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს, კიდევ უფრო თავდადებით შრომობენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და მეათე ხუთწლედის დავალებათა განხორციელებისათვის. მშრომელებისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის დებულებათა განმარტების მიზნით ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამეცნიერო დაწესებულებანი და შემოქმედებითი კავშირები.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო იმას, რომ რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის საწარმოთა შრომითმა კოლექტივებმა, სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ინტელიგენციამ წარმატებით შეასრულეს ნახევარი წლის დავალებანი.

ამით შეიქმნა ხელშემწყობი ფონი იმისათვის, რომ წარმატებით შემუშავდეს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი.

სხდომაზე განხილულ იქნა ის ამოცანები, რომლებიც დასახულია საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის წინაშე. მის მუშაობაში ჩაბმული არიან თვალსაჩინო მეცნიერები, სპეციალისტები, საზოგადო მოღვაწენი, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენლები. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

კულკუთვანი ხილის დამზადებისა და საერთო-საკავშირო ფონდში გაგზავნის გეგმების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ დამზადების სისტემის სტრუქტურულმა ცვლილებებმა, რომლებიც რესპუბლიკაში განხორციელდა, ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და საერთო-საკავშირო ფონდში მათი გაგზავნის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. 15 ივლისისათვის რესპუბლიკაში დამზადებულია 13.433 ტონა კულკოვანი ხილი ანუ 5.281 ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში იყო დამზადებული.

რესპუბლიკის მეტი წილი რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა სწორად შეაფასეს დამზადების სისტემის ახალი სტრუქტურის მნიშვნელობა, სეზონზულად, საქმიანად მოეკიდნენ ამ საკითხს, ორგანიზებულად ეწევიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებასა და საერთო-საკავშირო ფონდში მათ გაგზავნას. მაგალითად, ლაჩინოთის რაიონმა გეგმით გათვალისწინებული 720 ტონა კულკოვანი ხილის ნაცვლად ფაქტიურად 771 ტონა დამზადა. აბაშის რაიონმა გეგმით გათვალისწინებული 250 ტონის ნაცვლად — 276 ტონა. ასევე წარმატებით ასრულებენ დამზადების გეგმებს ვანის, მახარაძის, მაიაკოვსკის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს რაიონები.

ამასთან **აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, წალენჯიხის, ტყიბულის, ორჯონიკიძის, ხაჩიერის, წულუკიძის, მცხეთის, ბოლნისის, კასპის რაიონებში ქალაქ ჭიათურის ზონაში** გაუმართლებლად ჩამორჩება კულკოვანი ხილის დამზადება.

კულკოვანი ხილის დამზადების ნელმა ტემპმა გამოიწვია საერთო-საკავშირო ფონდში მისი გაგზავნის მნიშვნელოვანი ჩამორჩენა. 15 ივლისისათვის გეგმით გათვალისწინებული 5.000 ტონის ნაცვლად ფაქტიურად გაგზავნილია მხოლოდ 3.300 ტონა.

კულკოვანი ხილის დამზადებისა და საერთო-საკავშირო ფონდში გაგზავნის მიმდინარეობისადმი კონტროლის შესუსტების შედეგად მნიშვნელოვნად ჩამორჩენიან **სამტრედიის, წულუკიძის, წალენჯიხის რაიონები, ქალაქების წყალტუბოსა და ტყიბულის ზონები.** მაგალითად, სამტრედიის რაიონმა 15 ივლისისათვის გეგმით გათვალისწინებული 650 ტონა კულკოვანი ხილის ნაცვლად მხოლოდ 250 ტონა გაგზავნა, წულუკიძის რაიონმა — 35 ტონა საგეგმო 200 ტონის ნაცვლად, ქალაქ წყალტუბოს ზონამ — 170 ტონა საგეგმო 300 ტონის ნაცვლად, ტყიბულის ზონამ — 68 ტონა — გეგმაზე 132 ტონით ნაკლები.

ამის შედეგად კულკოვანი ხილის დამზადების დამტკიცებულ გეგმებს დააკლდა დაახლოებით 2.873 ტონა, ხოლო საერთო-საკავშირო ფონდში გაგზავნის გეგმას — დაახლოებით 900 ტონა.

კულკოვანი ხილის დამზადებასა და საერთო-საკავშირო ფონდში გაგზავნის საქმეში შექმნილი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს საჭირო დასკვნები არ გამოუტანიათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებიდან, შეანელეს კონტროლი ჯოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეო-ობათშორისო ორგანიზაციებისადმი, აქვთ ჩამორჩენა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და გაგზავნის გეგმების შესრულებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა 1. საქართველოს კომპარტიის აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის შრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომსა და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების დადგენილი გეგმების უკუოო შესრულებისათვის. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კულკოვანი ხილის დამზადებასა და საერთო-საკავშირო ფონდში მის გაგზავნას. საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი, რომ უზრუნველყონ კულკოვანი ხილის მთელი მოსავლის მაქსიმალური კრეფა და დაფარონ განსხვავება ჩამორჩენილი რაიონების მიერ გაგზავნის გეგმების შესრულებაში.

გაერთიანება „საქსოფლდამზადება“ დაღლებულია სასწრაფოდ დაუდგინოს გორის, ყვარლის, ხაშურის, კასპის, მცხეთის, აგრეთვე სხვა რაიონულ გაერთიანებებს საერთო-საკავშირო ფონდში კულკოვანი ხილის იმ მოცულობით გაგზავნის დამტკიცებით დავალებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ გაგზავნის რესპუბლიკური გეგმის შესრულებას.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მისმა რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლდამზადებამ“ კონტროლი უნდა დაუწესონ კულკოვანი ხილის დამზადებისა და საერთო-საკავშირო ფონდში მისი გაგზავნის მიმდინარეობას, საჭირო ყოველდღიური დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათშორისო საწარმოებს კულკოვანი ხილის დამზადებასა და გაგზავნაში.

3. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ უნდა უზრუნველყოს ვაგონებისა და მექანიზებული სექციების შეუფერხებელი მოწოდება „საქსოფლდამზადების“ რაიონული გაერთიანებების ვანსეხადებით ხილ-ბოსტნეულის გაგზავნისათვის.

კულკოვანი ხილის დამზადებისა და გაგზავნის საქმეში რესპუბლიკაში შექმნილ სიძნელეებთან დაკავშირებით, წელს, გამონაკლისის წესით ყველა უწყებასა და კერძო პირს (სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციების გარდა) ოკტომბერს კულკოვანი ხილის გატანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ რეალიზაციისათვის.

საქართველოს კომპარტიის რაიონული პარტიული კომიტეტები ვალდებული ხრიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1977 წლის 1 აგვისტოს, 15 და 30 სექტემბერს მოახსენონ, თუ როგორ მიმდინარეობს კულკოვანი ხილის დამზადება და სრულიად საკავშირო ფონდში მისი გაგზავნა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანიზაციები ყველა საჭირო ღონისძიებას განახორციელებენ რესპუბლიკაში კულკოვანი ხილის ყველა არსებული რესურსების ათვისებისათვის და შეასრულებენ დამზადებისა და სრულიად საკავშირო ფონდში მისი გაგზავნის გეგმებს. (საქინფორმი).

საოქტომბრო ვაჯტზე

ყოველი დღე, საათი — დამკვრელური!

მხოლოდ საუკეთესო!

თბილისი. გადამწყვეტ პერიოდში შევიდა ჩვენი შეჯიბრება ხოოქტომბრო დღესაწაულის შესახვედრად. ამიტომ ზეინკალთა ბრიგადებმა გადავწყვიტეთ კიდევ უფრო გავზარდოთ ჩვენი პასუხისმგებლობა წარმოების ყველა უბანზე.

ეს გასაგებიც არის. საიუბილეო წელს ნაკისრი გვაქვს მოვაწიოთ ამას, რომ ხარისხსნაშენიანი პროდუქციის გამოშვება 57 პროცენტამდე გავზარდოთ.

ყოველი ხუთი დღის დავალება — ოთხ დღეში, — ასეთია ჩვენი შრომის დევიზი წლის მეორე ნახევარში.

რ. ლილუაშვილი,
თბილისის კალინინის სახელობის ქარხნის ამწყობ ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

ხუთწლედის ადამიანები

საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი“ — ერთ-ერთი დიდი საწარმოა ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც იბადება ქართული ელმავლები. მისმა კოლექტივმა და 430.000 მანეთის ზვიგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

სურათზე: საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელ ლის“ კოტეგბისა და გრაგნილების დამამზადებელი საამქროს მოწინავენი (მარცხნიდან) უნინის ოსტატი ო. თე თვაძე, დამბვევი ე. ვასილევი, ბრიგადირი რ. კაპეური და გადამხვეველი ს. თედეშვილი.

ხ. კილაძის ფოტო.

25 ივლისიდან 10 აგვისტომდე სათიბ-საძოვრების რესპუბლიკური დათვალიერებაა

მაღალნაყოფიერად გამოვიყენოთ სათიბები და საძოვრები

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით **25 ივლისიდან 10 აგვისტომდე სათიბ-საძოვრების გაუმჯობესებისა და ინტენსიური გამოყენების მიზნით ეწყობა სათიბ-საძოვრების რესპუბლიკური დათვალიერება.** დათვალიერების დროს კომისიებმა წინასწარ შედგენილი გეგმით ყოველდასმით უნდა შეისწავლონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სათიბ-საძოვრების მდგომარეობა და სამინისტროს წარუდგინონ კონკრეტული წინადადებები.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოების უფროსებს დაევალათ უშუალო მონაწილეობა მიიღონ სათიბ-საძოვრების დათვალიერებაში და მის გასაუმჯობესებლად პრაქტიკული ღონისძიებათა შემუშავებაში. კომისიებში უნდა შეიყვანონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეურნეობათა ხელმძღვანელები, პრაქტიკოსები. კომისიებმა შემუშავებული ღონისძიებანი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 20 აგვისტოსათვის უნდა წარუდგინონ.

სამინისტროს საკვებმოპოვების, მდელოებისა და საძოვრების სამმართველომ, საქართველოს ზოოვეტერინარულმა სასწავლო-კვლევითმა, მწყემსმოქმედების სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა და „საქმეწსახსოფექტმა“ რესპუბლიკის სათიბ-საძოვრებზე არსებითი გაუმჯობესებისათვის კომისიების მიერ წარმოდგენილ მასალების საფუძველზე უნდა შემუშაონ ერთიანი ღონისძიებები, ამ საქმეში გამოიყენონ სათიბ-საძოვრების პასპორტიზაციისა და სუფეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რეკომენდაციები.

მაღალორგანიზებულად, საქმიანად, მთელი გულისხყურით მოვაწყოთ სათიბ-საძოვრების რესპუბლიკური დათვალიერება, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ უახლოეს მომავალში მკვეთრად გავაუმჯობესოთ სათიბებისა და საძოვრების მდგომარეობა, გამოვავლინოთ და სიუხვეს სამსახურში ჩავაყენოთ მეცხოველეობის აღმავლობის რეზერვები!

შრომაში წარმატებებისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში მთავრობის ჯილდოები გადაეცა საავტომობილო ტრანსპორტისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სისტემის საწარმოების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და ორგანიზაციების მუშებისა და მოსამსახურეების ჯგუფს. მათ სსრ კავშირის ორდენები და მედლები მიენიჭათ წარმატებისათვის, რომლებსაც მიაღწიეს 1976 წლის საგეგმო დავალებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში.

დაჯილდოების შესახებ ბრძანებულება წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. ვ. გილაშვილმა დაჯილდოებულ თბილისელ მშრომელებს გადასცა ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“, მე-3 ხარისხის შრომითი დიდების ორდენები, მედლები „შრომითი გმირობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ თბილისის № 4 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლთა ბრიგადირი ვ. ნ. თორაძე და თბილისის ელექტროწყობის სამმართველოს მსმენელი ვ. ვ. ლაშქარაშვილი. მათ დიდი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის და ილაპარაკეს თავიანთი შრომითი კოლექტივების ბრძოლაზე დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი გაზრდილი ვალდებულებების შესრულებისათვის.

პ. ვ. გილაშვილმა გულთბილად მიულოცა, შემდგომი შრომითი წარმატებები და ბედნიერება უსურვა დაჯილდოებულთ. (საქინფორმი).

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურად აღზრდაში პარტიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მასების მობილიზაციის საქმეში დიდი დამსახურებისათვის და პირველი ნობრის გამოსვლიდან ორმოცე წლისთან დაკავშირებით გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. **1977 წლის 20 ივლისი.**

20 ივლისი

„პრავდის“ ფურცლებზე

ახლა მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს გავაჩაღოთ აქტიური პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა იპატოვის მიწათმოქმედთა გამოცდილების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ახსნა-განმარტებისათვის წერის გაზეთი მოწინავეში („მკის ნოვატორთა მაგალითისამებრ“). საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ეს გამოცდილება გავაცნოთ ყველა მშრომელს, გამოვავლინოთ ტექნიკური და სხვა შესაძლებლობანი მეურნეობებში მოსავლის ახალი კომპლექსებისა და რაზმების შესაქმნელად. შეიადგინოთ მოსავლის აღების ზუსტი გეგმები, ამასთან ვიხელმძღვანელოთ ნოვატორული მეთოდებით. განსაკუთრებით საჭიროა ეს იმ რაიონებში, სადაც მკას მხოლოდ იწყებენ. მიწათმოქმედებს არსებითი დახმარება უნდა გაუწიონ საოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებსა და გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სპეციალისტებმა.

მექანიზატორთა ახალ-ახალი რაზმები ებმებიან ხუთწლედის მეორე წლის მოსავლის აღებისათვის მუშაობაში. ფართოდ იყენებენ რა მოწინავეთა გამოცდილებას, მეცნიერების მიღწევებს, აჩაღებენ შეჯიბრებას დიდი ოქტომბრის იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის, სოფლის მშრომელები სამშობლოს მისცემენ მეტ უმაღლესი ხარისხის პურსა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციას.

გზატკეცილის პირას ორტაკაში — ოთხმეზვერვალიანი არაგაწოს მთის ძირში განლაგებული პატარა ქალაქის შესასვლელთან აღმართულია სამთოელის ვარდისფერი ქვის ქანდაკება. ეს ქალაქის სიმბოლოა.

აქ. მიწის წიაღში, დიეს გაქვავებული, ათასწლეულების მანძილზე დაწყნარებული ლავა — ძვირფასი საშენი მასალა ტუფი. ამ ტუფით არის ნაშენი თითქმის ყველა სახლი სოციალისტური სოფლების ქალაქებსა და სოფლებში (**„საბოთელის ბედნიერება“**).

ამ ბოლო წლების მანძილზე ჩრდილოეთ ოსეთში ბევრი რამ გაკეთდა მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების სრულყოფისათვის. მარტო გასულ ხუთწლედში აშენდა სერვისის 12 მსხვილი საწარმო ორჯონიკიძეში, ავტონომიური რესპუბლიკის რაიონებში. გაფართოვდა ატელიეებს, სახელოსნოებს, მიმღებ პუნქტებს ქსელი. ერთ მეხუთედზე მომსახურების მოცულობა წელიწადში 30 მანეთზე მეტს შეადგენს. ეს ციფრი ყველაზე დიდი ჩრდილოეთ კავკასიაში (**„ყველაფერი მანეთით როდი იზომება“**).

ПРАВДА

360-365 ათასი ტონა ჩაისათვის

ეს დღეები ჩაის პლანტაციებში

ფოთოლი ვკრიფოთ დროზე, უდანაკარგოდ, არ გავაუხეშოთ!

უკანასკნელ დღეებში მეჩაიეობის რაიონებში ჩაის ფოთლის ზრდა-განვითარების ხელსაყრელი ამინდებია. ბუჩქებზე ჩაის ფოთოლი ისე სწრაფად იზრდება, რომ საკრეფად უხვად შემოვიდა. ეს სურეოზული გამოცდაა თითოეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. ფოთოლი რომ არ გაუხეშდეს, ამისათვის ახლა მთავარია ფოთოლი ვკრიფოთ განუწყვეტლივ, ყოველდღე, ყოველგვარ ამინდში, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ წლეულს სამშობლოს მივცეთ 360-365 ათას ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“, აჭარელ მეჩაიეთა თაოსნობის დანერგვით სასახელო წარმატებებით შეეხვდეთ დიდ ოქტომბრის საიუბილეო წელს.

აი როგორ იბრძვიან მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთლის სიუხვისათვის:

აჭარელთა მაგალითისამებრ

რაიონის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკის მშრომელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ დამკვრელურ ვადებში გაანაღდონ პირობა, წელს 62.372 ტონის ნაცვლად მოკრიფონ 65.500 ტონა ჩაის ფოთოლი, ესე იგი აჭარელთა მაგალითისამებრ 3.126 ტონით მეტი ადრე ნაკისრ ვალდებულებასთან შედარებით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევენ შრომის კოლმეურნეობის მეჩაიეები. აჭაურებმა 6 თვეში 1.887 ტონის ნაცვლად მოკრიფეს 1.977 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი.

კოლმეურნეებმა აჭარელთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად გადაწყვიტეს ადრე ნაკისრი 3.800 ტონის ნაცვლად გადასამუშავებლად ფაბრიკებს ჩაბარონ 4.050 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

მახარაძელებმა 20 ივლისისათვის უკვე მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 48.535 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული — ეს შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 9.541 ტონით მეტია. („კომუნისტის“ კორ.).

ტემპი არ ნელდება

საუბილეო წელს მოვკრიფოთ და გადასამუშავებლად ფაბრიკებს ჩავაბაროთ 19.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული! — ასეთი დევიზით მუშაობენ გეგეჭკორის რაიონის მშრომელები. პირობის შესასრულებლად ყველგან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყოველდღე განუწყვეტლივ, ყოველგვარ ამინდში იკრიფება მოზღვავებული ფოთოლი. მთავარი ყურადღება ექცევა იმას, რომ მოუკრეფაობის გამო არ გაუხეშდეს ჩაის ნედლეული.

რაიონში ივლისშიაც ფოთლის კრეფის ტემპი არ შენელებულა. 18 ივლისს მოიკრიფა 225 ტონა, 19 ივლისს 231 ტონა ფოთოლი. სულ სეზონის დაწყებიდან მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 14.140 ტონა ფოთოლი. ეს შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 2.780 ტონით მეტია. (სპ. კორ.).

ჟოსავალი ის არის, რაც გეღელშია

კომბაინერთა შეჯიბრება

ვინ დაფინაურდა

ვინ მოიკრეფს გაზეთ „კომუნისტის“ გარდამავალ ვიმპელს

საგარეჯო

3. ბეჟიტაშვილმა ნინოწმინდის კოლმეურნეობაში ერთ დღეს 10 ჰექტარი პურეული მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

3. ივანიაშვილმა ამავე კოლმეურნეობაში ერთ დღეს 9 ჰექტარი პურეული მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ქარელი

3. ტატვინიძემ — დედოფლის საბჭოთა მეურნეობაში ერთ დღეს 12 ჰექტარი პურეული მომკა და საშუალოდ ერთ ჰექტარზე 28 ცენტნერი ხორბალი გალეწა. ამისათვის მას გაზეთ „კომუნისტის“ გარდამავალი ვიმპელი გადაეცა.

კასპი

ა. ყარაშვილმა კასპის კოლმეურნეობაში ერთ დღეს 15 ჰექტარი პურეული მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 21 ცენტნერი ხორბალი გალეწა. ამისათვის მას გაზეთ „კომუნისტის“ გარდამავალი ვიმპელი გადაეცა.

მცხეთა

ა. ჭოკაშვილმა ნატახტრის საბჭოთა მეურნეობაში ერთ დღეს 8 ჰექტარზე აიღო პურეულის მოსავალი და საშუალოდ ჰექტარზე 20,2 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

დ. ზანდარაშვილმა დიმის საბჭოთა მეურნეობაში ერთ დღეს 8 ჰექტარზე აიღო პურეულის მოსავალი და საშუალოდ ჰექტარზე 23 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

აბრეშუმის პარკი გეგმის გადამეტებით

სამტრედიის რაიონის მშრომელებმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. 57.000 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 57.370 კილოგრამი ხარისხოვანი პარკი.

თავი ისახელეს დიდი ჯიხაიშის, წითელი ოქტომბრის სტალინის სახელობის, ეწრის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებმა, ღანირის საბჭოთა მეურნეობამ.

სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვა გრძელდება. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა **შ. ცაგარეიშვილმა** და რაიისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. მანჯგალაძემ.**

მეღალნაყოფიერად გამოვიყენოთ სათიბები და საძოვრები

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით **25 ივლისიდან 10 აგვისტომდე სათიბ-საძოვრების გაუმჯობესებისა და ინტენსიური გამოყენების მიზნით ეწყობა სათიბ-საძოვრების რესპუბლიკური დათვალიერება.** დათვალიერების დროს კომისიებმა წინასწარ შედგენილი გეგმით ყოველდასმით უნდა შეისწავლონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სათიბ-საძოვრების მდგომარეობა და სამინისტროს წარუდგინონ **კონკრეტული** წინადადებები.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოების უფროსებს დაევალათ უშუალო მონაწილეობა მიიღონ სათიბ-საძოვრების დათვალიერებაში და მის გასაუმჯობესებლად პრაქტიკული ღონისძიებათა შემუშავებაში. კომისიებში უნდა შეიყვანონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეურნეობათა ხელმძღვანელები, პრაქტიკოსები. კომისიებმა შემუშავებული ღონისძიებანი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 20 აგვისტოსათვის უნდა წარუდგინონ.

სამინისტროს საკვებმოპოვების, მდელოებისა და საძოვრების სამმართველომ, საქართველოს ზოოვეტერინარულმა სასწავლო-კვლევითმა, მწყემსმოქმედების სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა და „საქმეწსახსოფექტმა“ რესპუბლიკის სათიბ-საძოვრებზე არსებითი გაუმჯობესებისათვის კომისიების მიერ წარმოდგენილ მასალების საფუძველზე უნდა შემუშაონ ერთიანი ღონისძიებები, ამ საქმეში გამოიყენონ სათიბ-საძოვრების პასპორტიზაციისა და სუფეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რეკომენდაციები.

მაღალორგანიზებულად, საქმიანად, მთელი გულისხყურით მოვაწყოთ სათიბ-საძოვრების რესპუბლიკური დათვალიერება, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ უახლოეს მომავალში მკვეთრად გავაუმჯობესოთ სათიბებისა და საძოვრების მდგომარეობა, გამოვავლინოთ და სიუხვეს სამსახურში ჩავაყენოთ მეცხოველეობის აღმავლობის რეზერვები!

მიფრინავს „კოსმოს-931“ და „კოსმოს-932“

1977 წლის 20 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-931“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

1977 წლის 20 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-932“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

(საკადესი).

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

მეოთხე საფეხური

მიხეილ ზოლოტოვი,

სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი, ნობელის პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ჩემი თაობის ადამიანებისათვის ახალი საბჭოთა კონსტიტუცია, რომლის პროექტსაც ახლა მთელი ხალხი განიხილავს, რიგით მეოთხეა. ჩვენი ქვეყნის განვითარების ოთხი ისტორიული საფეხური ამასთანავე ჩემი ბიოგრაფიის ეტაპებია.

ჩვენი პირველი კონსტიტუცია, 1918 წელს მივიღეთ. ამ წელს შემოხვა ჩემი ბედის მკვეთრი შემობრუნება. მანამდე გიმნაზიაში ვსწავლობდი, მაგრამ სამოქალაქო ომმა შეგვაწყვეტინა მეცადინეობა. 1918 წელს, როცა მხოლოდ 13 წლისა ვიყავი, იძულებული გავხდი მუშაობა დამეწყო. ვიყავი სასურსათო კომიტეტის მუშაკი, დავდიოდი ბანდებს, რომლებიც 1922 წლამდე თავზარს სცემდნენ დონს, ბანდები კი ჩვენ დაგვდევდნენ. ყველაფერი რიგზე მიდიოდა. ათასი უბედურება გადამხდენია თავს. და თუმცა ჩვენ ამაზე ყოველთვის არ ვფიქრობდით ხოლმე, მაგრამ გამოდის, რომ მაშინ ჩვენც ჩვენი სრულიად ნორჩი ქვეყნის მთავარ უფლებას — სიცოცხლის უფლებას ვიცავდით.

ჩემი ბიოგრაფიის ფაქტია შრომის გარანტირებული უფლებაც. კარგად მახსოვს, როგორ ვიდექი ოცდან წლებში მოსკოვის შრომის ბირჟის უმუშევართა რიგში მალალა ბრონიაზე. მუშაობაში ბედი მქონდა: მგზავნიდნენ მტვერთავად, შავ მუშად, კალატოზად და სახლმმართველობის საქმის მწარმოებლადაც კი... გადიოდა წლები. და ოცდაინ წლების დამდეგს სიბრძოლით წავიკითხე გაზეთებში, რომ ქვეყანაში აღარ იყვნენ უმუშევრები, რომ საბჭოდმოდ დაიხსნა შრომის ბირჟა.

როგორღაც ხელში ჩამიცვარდა ამერიკელი პუბლიცისტის რობერტ უილტონის წიგნი „რუსეთის „აგონია“, მახსოვს, 1919 წელს იყო გამოცემული. ავტორი უყოყმანოდ აცხადებდა: ეკონომიკური თვალსაზრისით — დაახლოებით ასე წერდა იგი — საბჭოთა რეჟიმის შემდგომი არსებობა შეუძლებელია, პოლიტიკური თვალსაზრისით — ეს ეჭვსურდა. ეს სიტყვები გამახსენდა, როცა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს ვკითხულობდი. ისტორიამ შეარცხვინა ამერიკელი წინასწარმეტყველი. ახალი კონსტიტუციის პროექტი. განამტკიცებს ისეთ მოღწეულებს, რომლებსაც თვით მწერლის თვალიც კი ერთბაშად ვერ მოიცავს. მაგრამ საქმე ხომ მარტო ეს არ არის! მთავარია პერსპექტივა. და ეს პერსპექტივა კონსტიტუციაში მარტივად და ცხოვრებისეულად არის ჩამოყალიბებული — უკანასკნელ კომუნისტური საზოგადოების აშენება.

ჩვენს ოთხ კონსტიტუციას აქვს ერთი ფესვი — მოსწრაფება ადამიანური სამართლიანობისა და მშვიდობისადმი. ამას მოხმარდა სოციალიზმის ძველი, კოყრიანი, ხოლო ომის წლებში სისხლიანი გზის სამოცი წელი. ეს არის ოქტომბრის რევოლუციის პრაქტიკული გამოცდილება, ჰუმანიზმი, პათოსი და მიმზიდველობა.

კონსტიტუციის პროექტის სიახლე — უწინარეს ყოველისა ეს არის გაფართოება და გაღრმავება სოციალისტური დემოკრატიისა, რომელიც ფაშიზმთან უძნელეს შერკინებაში დავიცავით.

ჩემი თაობის ადამიანთა ბედში ომი მთელი თავისი შემზარაობით შემოიჭრა. ფრონტის ამბებმა, ტოტალური ომის ამბებმა წარუშალელი კვალი დატოვეს. მე დავკარგე სამოცდაათი წლის დედა, რომელიც ჩვენი სტანიცის დაბომბვის დროს დაიღუპა, ამ სტანიცას არავითარი სტრატეგიული ნიშვნელობა არ ჰქონდა, ჩემი სახლი, ბიბლიოთეკა ნაღმებმა შეიწირეს. ბევრი მეგობარი დავკარგე. და ეს მარტო პირადი უბედურება, პირადი ჭირი კი არ არის — პირადი უბედურებიდან და სიღუხჭირიდან იქმნება მთელი ხალხის უბედურება, საერთო უბედურება, რომელიც ომს მოაქვს ადამიანისათვის.

და აქ მე კვლავ ვამტკიცებ, რომ კონსტიტუციის პროექტი მეც უშუალოდ შემეხება: ქერძოდ, იმ ლენინური სამშვიდობო პოლიტიკის პრინციპების კონსტიტუციური დამკვიდრება, რომლის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობიდან ომების გამორიცხვა, ხალხთა უშიშროების განმტკიცება და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა თანამშრომლობის ფართო განვითარება. ეს უშუალოდ შემეხება მე როგორც ადამიანსაც და როგორც ლიტერატორსაც. დიახ, სხვადასხვა ქვეყნის მწერლებს შეიძლება სხვადასხვა შეხედულებანი ჰქონდეთ, მაგრამ უნდა გვაერთიანებდეს ერთი რამ: მისწრაფება, რომ სასარგებლო ვიყოთ კაცობრიობისათვის, მსოფლიოსათვის.

ამა დაუკვირდით: კონსტიტუციის პროექტში სოციალური განვითარება და კულტურა ერთერთ პირველ ადგილზეა სახელმწიფოს საზრუნავთა შორის. სწორედ ამტომ მწერლის შრომის მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მატულობს.

სპბ-ოთის დღევანდელი დღე ბედნიერი დღეა. მაგრამ, როცა ვამბობთ „ბედნიერი ცხოვრებაზე“, ეს სრულიადაც არ ნიშნავს „იოლ ცხოვრებას“. ჯერ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ბევრი სიძნელეა უნდა დავძლიოთ, სწორედ ამგვარი აქტიური ალმშენებლობითი ცხოვრებისათვის იბრძოდნენ, ეწამნენ და დაიღუპნენ ჩემი წიგნების გმირები. რთული იყო მათი ბედი. მაგრამ ვფიქრობ, არ ვარგა მწერალი, რომელიც ნამართლის საზიანოდ ალამაზებს სიცოცხლეს.

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ

ᲐᲡᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ პროექტის 58-ე მუხლი აღნიშნავს საბჭოთა ადამიანების უფლებას საჩივარი შეიტანონ თანამდებობის პირთა მოქმედების გამო. ამით ვლინდება პეროვნების ღირსების, თავისუფალი შრომისა და ცხოვრების გარანტია, რომელსაც საბჭოთა კანონი ეცავს.

მაგრამ საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როცა განცხადება თუ საჩივარი ეგზავნებათ იმავე წარმოებისა თუ დაწესებულების ხელმძღვანელებს, რომელთა საქციელი მომჩივანებს უკანონო მიაჩნიათ, ეს კი უკმაყოფილებას ეწვევა.

ამიტომ, ჩემი აზრით, ამ მუხლის პირველი აბზაცი სწორს ამბავია: „სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ მოტივირებული საჩივარი შეიტანონ თანამდებობის პირთა უსწორო მოქმედების შესახებ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ეს საჩივრებიკარ უნდა გადაეგზავნოთ იმათ, ვისაც სამართლიანად უჩივიან და განხილულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესით და ვადებში“.

Ა. ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ,

ცხაკაიას სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის კადრების ინსპექტორი.

ᲩᲕᲘᲚᲑᲐᲕᲨᲕᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ სახელმწიფო ზრუნავს ოჯახზე, ყოველმაირად ცდილობს რომ ქალებს შეემსუბუქდეს შრომა. ამასთან მატერიალურად ეხმარება მრავალშვილიან დედებს, ეუმნის პიროვნებებს ბავშვთა ნორმალური აღზრდისათვის. ოჯახზე სახელმწიფოებრივი ზრუნვა კარგად აერის გამოხატული ახალი კონსტიტუციის 53-ე მუხლში. მრავალშვილიანი დედების სახელოთ მინდა მადლობა მოვახსენო პარტიასა და მთავრობას. ამაყოფილი ვართ აგრეთვე საოდკრეტო შეებულების ვადებითა და უფლებებით, მაგრამ ზოგი ცვლილებას შეტანა საჭიროდ მიმაჩნია.

ოჯახში ჩვილი ბავშვის აღზრდა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეა. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია ჩვილბავშვიანი დედები სარგებლობდნენ ერთწლიანი ფასიანი შეებულებით, ამასთან ეს დრო ეთვლებოდეთ სამუშაო სტაჟში. ამის მიხედვით კონსტიტუციის 53-ე მუხლი შესწორდეს ასე: „ჩვილბავშვიანი დედები სარგებლობენ ერთწლიანი ფასიანი შეებულებით, რაც ეთვლებათ აგრეთვე სამუშაო სტაჟში“.

რ. ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ,

ქ. ახალციხის მეორე ბაგა-ბაღის უფროსი ექთანი.

ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲒᲐ

ᲠᲝᲪᲐ კონსტიტუციის პროექტს ვეცნობოდი, სხვა საკითხებთან ერთად ჩემი ყურადღება მიიქცია მე-13 მუხლმა, სადაც ნათქვამია „სახელმწიფო ერთიანების უხამეს მატერიალურ და მორალურ სტიმულებს და ხელს უწყობს იმას, რომ შრომა უპირველეს სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაექცეს ყველა საბჭოთა ადამიანს“.

ეს საკონსტიტუციო მოთხოვნა კიდევ უფრო სრულყოფილი გახდება, თუ მასში ნათქვამი იქნება რომ — **სახელმწიფო სრულყოფს** და ავითარებს მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმებს, აძლიერებს თვითეული მუშაკის დაინტერესებას შრომის მაღალი დონით.

ᲕᲚ. ᲓᲝᲚᲘᲫᲔ,

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘ — ᲓᲘᲐᲓ ᲥᲐᲠᲩᲘᲐᲡ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲭᲐᲮᲘᲫᲔ

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲨᲔᲜᲘ ᲙᲐᲪᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ

იცი ქვეყანა მომავლისკენ რა რწმენით მიდის,
რა დღეებისთვის რა შემტევი ღონით ვივსებით,
მთელი ხმით ყველგან შენს ხელშია კანონი დიდი,
დასტური შენი კაცობის და შენი ღირსების.

მის კვალში მდგომი, მისი ენით მეც გეუბნები:
შრომის რა ეშხი, რა ხალისი მოგდგამს გვარტომით.
შვილი ხარ ღვიძლი აღმავალი-თავისუფლების,
ამ ბარისა და მთების პატრონი.

სიამის ყველა შესასვლელი გარჯამ გაჩვენა,
ამქვეყნად მოსულს წუთისოფლის დღით რომ გეხარა:
შენ შეგიძლია,
ელვის ძალა მისცე მარჯვენას
და ხალხის ნებით ითავკაცო. — მართო ქვეყანა.

მადლი ზრუნვისა არ მოაკლო ტყეებს და მინდვრებს,
ამრავლო შველი და ირემი მთასა და ბარში,
მიხედო ძეგლებს, მთა-გორების უხუცეს მკვიდრებს, —
მამა-პაპათა სულია მათში.

გაქვს დედაენა დედასავით პატივდებული,
ერის დუღაბი,
დაწმენდილი სინათლით სავსე.
გიჭირდეს მარად სიტყვა მისგან განათებული
დაუდგრომელი ფიქრისა და ოცნების გზაზე.

გიზრდის სამყაროს ხალხთა ძმობა ყოვლის მძლეველი,
გექცა უებრო მისი ძალა სულის სიმდიდრედ.
შეუპოვრობა, ავაზაკთა რჯულის მნგრეველი
მზეს გიახლოვებს, სახელს გიდიდებს.

მეც შენთანა ვარ,
ჩვენ ერთი გვაქვს პური არსობის,
ერთი სამშობლო,
ქვეყნის დედა კანონიც ერთი.
იგი ცხოვრების აღმავლობის ნებად ნაშობი
ჩვენს შემართებას, გულის ძახილს დასტურად ერთვის.

ᲒᲘᲚᲘᲝᲜᲗᲐ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

ეს იყო სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვისადმი მიძღვნილი მორიგი გადაცემა, ტელეკამერები საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ საამქროებში დადგეს. თავიანთ აზრებს და წინადადებებს გვიზიარებდნენ თბილისის უდიდესი საწარმოს მუშები, ინჟინრები, მოსამსახურეები.

შემდეგ ტელეკამერებმა მაყურებელი საქართველოს მწერალთა კავშირში გადაიყვანეს. მწერალმა გ. აბაშიძემ მხურვალედ დაუჭირა მხარი „პრავდაში“ სოციალისტური შრომის გმირის, უზბეკეთის სსრ სარეიისის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ თავმჯდომარის ბ. ამანოვის გამოსვლას, რომელმაც წინადადება წამოაყენა გაძლიერდეს 64-ე მუხლის ფორმულირება საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთა და ეროვნებათა მეგობრობის განმტკიცების შესახებ.

„ეს ოქტომბრის ჭეშმარიტად დიადი მონაპოვარია, — თქვა ტელეკრანიდან გ. აბაშიძემ, — და მას თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეთ“.

ეთერში უკვე გადაიცა კონსტიტუციის პროექტის განხილვისადმი მიძღვნილი ცხრა გადაცემა,

„ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“, 19/VII.

ᲐᲒᲘᲢᲒᲠᲘᲒᲐᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲔᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ სპეციალური ავტომანქანით გადმგზავნეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის აგიტბრიგადა, რომლის წევრები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებით ლექციებსა და საუბრებს გადმართავენ გორის, ბორჯომის, ხაშურის, ყვალეტების, ლანჩხუთის, ფოთის, ზუგდიდის, მესტიის, ცაგერისა და ტყიბულის ახალგაზრდებს.

საქართველოს ახალგაზრდებმა, ისევე როგორც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა და საერთოდ მთელმა საბჭოთა ხალხმა, ერთსულოვნად მოიწონეს და მხარი დაუჭირეს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს. ეს პროექტი განსაკუთრებით ძვირფასია მათთვის, რადგანაც იგი ახალგაზრდობის მიმართ მშობლიური კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის უდიდესი ზრუნვის, ყურადღებისა და ნდობის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. ვანა ამაზე არ მეტყველებს ის მეტად საგულისხმო ფაქტი, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტით 18 წლის მოქალაქეს იძლევა უფლება აირჩიოს საკანონმდებლო ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად?!

ამ დღეებში რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდები თავიანთ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებსა და აქტივის კრებებზე, აგრეთვე ღია კომკავშირულ კრებებზე გულდასმით განიხილავენ ჩვენი ცხოვრების ძირითად კანონპროექტს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან გამომდინარე კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანებს, რასაც მჭიდროდ უკავშირებენ დიდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთვის ღირსეული შეხვედრისათვის გაწეულ საქმიანობას.

სწორედ ამ მიტომ მნიშვნელოვანი საქმისათვის უკეთ მზადებას ემსახურება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის აგიტბრიგადაც. მისი წევრები მოაწყობენ შეხვედრებს პარტიისა და კომკავშირის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში, პიონერიდან კომკავშირულ ორგანიზაციებში, ლექციებს წაიკითხავენ საწარმო-დაწესებულებებში, ჭარხნებსა და ფაბრიკებში, სამეცნიერო და სამეურნალო დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში...

აგიტბრიგადის წევრები შეხვდებიან აგრეთვე ამ ქალაქებსა და რაიონებში სამეშაოდ ჩამოსულ სტუდენტთა სამშენებლო რაზმების წევრებს, ინჟინერ-ჰესის მშენებლებს, მესტიის რაიონის სოფელ ბეჩოს ახალგაზრდებს. ფოთის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბში გამართავენ მეგობრობის საღამოს, ქ. ტყიბულის კომკავშირული აქტივისათვის მოაწყობენ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას თემაზე: „დიადი ქარტია — დიდი უფლებები“.

18 ივლისს აგიტბრიგადის წევრებს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში შეხვედრა მოეწყვეს. ბრიგადის წევრებმა გამგზავრების წინ საჩვენებელი ლექციები წაიკითხეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტმასობრივი მუშაობის განყოფილებაში.

რ. ᲠᲣᲡᲘᲐ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

19 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგები 1977 წლის პირველ ნახევარში.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთვის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების განხორციელების მსვლელობაში, მაღალი პოლიტიკური და შრომითი ალმაცლობის შედეგად, რაც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, იმ დებულებებით და დასკვნებით, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება ამ პლენუმზე, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვით, მიღწეულია ახალი წარმატებები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობასა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

1977 წლის პირველი ნახევრის გეგმა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის, პირუტყვის, ფრინველის, ხორცისა და რძის შესყიდვისა და მთელი რიგი სხვა მაჩვენებლების მიხედვით გადაჭარბებით აორის შესრულებული.

სამრეწველო პროდუქციის მატებამ 1976 წლის პირველ ნახევართან შედარებით 5,7 პროცენტი შეადგინა ნაცვლად წლიური გეგმის 5,6 პროცენტისა. სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს სსრ კავშირის ყველა სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკებმა.

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ამოქმედდა 23,6 მილიარდი მანეთის ღირებულების ძირითადი ფონდები, რაც 6 პროცენტით მეტია, ვიდრე ამოქმედებული იყო 1976 წლის პირველ ნახევარში.

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 2,7 პროცენტით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 5 პროცენტით, საცალო საქონელბრუნვა გადიდდა 4,6 პროცენტით, ... საყოფაცხოვრებო მომსახურ... მოცულობა — 8,7 პრო...

საექსპლოატაციოდ ... 25,4 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები 7 ათასი საწოლით, პოლიკლინიკები ცვლაში 16,5 ათასი ვიზიტიანობის მისაღებად, ზოგადსაგანმანათლებელო სკოლები 103 ათასი მოსწავლისათვის, სკოლამდელი ასაკის დაწესებულებები 80,6 ათასი ბავშვისათვის.

ამასთან სხდომაზე აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ზოგიერთმა სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ვერ უზრუნველყვეს სამრეწველო წარმოების, რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის, კაპიტალური მშენებლობის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სხვა მაჩვენებლების მთელი რიგი დაგეგმილების შესრულება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა მინისტრებს, სსრ კავშირის უწყებათა ხელძღვანელებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, გააანალიზონ საქვეუწყებო საწარმოების, მშენებლობებისა და ორგანიზაციების მუშაობა და ყურადღება მიექცეს ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის, საგეგმო დისციპლინის განმტკიცებისათვის. შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსაკუთრებული ყურადღება მიეგზავნა ამაში, რომ საკმარო თავი მოუყარონ ძალისა და მატერიალურ სახსრებს 1977 წლის მოსავლის შემაჯამებელ ეკონომიკურ ... და უდანაკარგოდ აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის, ... თან ... ამერიკის ... ...

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

მკითხველმა ისე არ გამიგოს, თითქოს მე უკვე ვერეკლები საქონელს გლეხის კარმიდამოდან. სტატისტიკამ წელან გაგვაფრთხილა, პირადი მეურნეობის დაუხმარებლად დღესდღეობით თქვენი სუფრა მეტად ღარიბი იქნებაო. სანამ საზოგადო ბეღელი და ბაგა-ბოსელი უბეს არ გაივსებს, საკარმიდამო ნაკვეთს მაგარი ღობე შემოავლეთო...

ჩვენი ცხოვრების დღევანდელ საფეხურზე პირადი და საზოგადო მეურნეობა — ერთი ხურჯინის ორი თვალია...

ამ ორი უბნის ურთიერთობას საბოლოოდ განამტკიცებს და ბევრად უფრო გააღრმავებს დამზადების ახალი წესი, რაზედაც ამ დღეებში ხშირად სწერენ ჩვენი გაზეთები. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პირველმა ითავა ეს დიდი საქმე ჩვენს ქვეყანაში, გადადგა გაბედული ნაბიჯი და ქართული სოფლის ცხოვრებაში მთელი გადატრიალება მოახდინა.

აქამდე მოსახლეობა თავის ნაჭარბ სურსათ-სანოვაგეს, — ხილი იქნებოდა, ბოსტნეული თუ საქონელი, ყველი თუ კვერცხი — აბარებდა სადღაც მისგან დამორებულ და მისი გულისხმიერებისგან გამოთიშულ — დამზადების კანტორას. რამდენი დრო და წვალება, რამდენი ტყუილი მისვლა-მოსვლა და ჭაპან-წყვეტა იყო საჭირო, რომ ბალი თუ პამიდორი, სანამ საქმელად ვარგოდა, მანამდე ჩაებარებინა ჩამბარებელს. ამ დამზადების კანტორის ამბები კი ბევრი სათრევლელა ტრაკისა და ბევრი მწარე ნაკვესის სათავე იყო. რამდენი ცუდადაც ურევდა ხელს სოფლის დიდ ქვაბში... სტყუოდა ხშირად მათ საწონ-საზომი, მათი ჯამი და ქვითარი და გლეხსაც ალარ უხაროდა ამ არამკითხე ყანის მოზიარეებთან სიარული და საქმის გარიგება.

საზოგადო მეურნეობამ დღემდე ვერ მოიცალა, რომ გლეხის ეზოში გადაეხედა, არ დაინტერესდა, რა ხდებოდა საკარმიდამო ნაკვეთზე, რა ითესებოდა და ირგებოდა, რა ჯიშის ძროხა და ღორი დადიოდა. სწორედ ამ უყურადღებობის ბრალი იყო, რომ გლეხი — მხვნელ-მთესველი და სურსათ-სანოვაგის მწარმოებელი მეურნე, — ზოგან იმავე სურსათ-სანოვაგის მყიდველად და მომხმარებლად გადაიქცა. შარშან და შარშანწინ თბილისის ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებლები ნივრისა და ხახვის საყიდლად დედაქალაქის ბაზრებს მოედვნენ. ოდესღაც კი ამ სოფლებს ბოსტნეული საქებარი არ ჰქონდათ.

რამდენი ოჯახი ვიცი სოფლად, საკარმიდამო ნაკვეთზე ბალახს რომ გადაუვლია და ბრასას და ოხრახუშს მახლობელი დაბა-ქალაქის ბაზარზე ყიდულობს.

ყიდულობენ ყველს, პამიდორს, კიტრს და ბევრ სხვა რამეს, რაც პირად დამხმარე მეურნეობას ბაზარზე გასატანად თუ არა, საკუთარი ოჯახის დასაკმაყოფილებლად მაინც უნდა მოჰყავდეს. ასე დაირღვა წონასწორობა ქალაქსა და სოფელს შორის.

დამზადების ძველი, მოუქნელი წესი შორეულ ბაზრებში დაარიხინებდა სოფელს ყაცს და, როგორც ერთმა ნაცნობმა გლეხმა მიამბო, ამ გზასა და ბაზარს ბევრი უზნეობა შეჰქონდა ადამიანის სულში.

...იმ დღეს სოფელ მარანში ლენინის ძეგლის გახსნას დავესწარი. „მიტინგი რომ დამთავრდა, ჩემმა ნაცნობმა სადილად დამპატიჟა. ერთმა-ორმა ჭიქამ ცოტა ენა დაგვიგრძელა და გულახდილი საუბარი გაიბა. მარნელი გლეხები მუდამ ჩინებული მებოსტნეები იყვნენ, მაგრამ ეს ჩემი მასპინძელი თურმე აგერ, მალე ათი წელიწადი იქნება, რაც მებოსტნეობას გადაუდგა.

— დავიღალე, ჩემო ბატონო, სიცოცხლე მომბეზრა მაგ პამიდორმა და კომბოსტომ!

გამიკვირდა, ასეთი რა მოხდა-მეთქი.

„რა მოხდა და მთლად გაწუწკდა ეს ქვეყანა! ჯერ მანქანა უნდა იშოვნო, მთელი დღე ენაგადმოგდებულმა უნდა ირბინო სოფელში; მერე იშოვნი და ვაი ამ ზოგნას! შოფერი სულ კილო-კილო გიანგარიშებს ამ შენს საპალნეს და ტყავს გაგაძრობს! მაგრამ ეს კიდევ არაფერი! თუ გზაში ზოგიერთ ვერცხლის მოყვარულ მილიციელს გადაურჩი, ნამდვილი ჯოჯოხეთი მერე იწყება, ქალაქში...

ყველა ხელში შემოგყურებს, ყველას საჭუქარი და მისაგებელი უნდა! თუ ჯიბეზე ხელი არ გაიკარი, ისე ზედაც არ შემოგხედავენ! არც მანქანას გადმოტვირთავენ, არც ხალათს ჩაგაცმევენ, არც სასწორს მოგცემენ, არც დახლთან დაგაყენებენ... დამანებე თავი თუ ქაცი ხარ!

გადავაშენე ეს ჩემი ბოსტანი და მთელი წინა და უკანა ეზო დაფნას მივეცი. ლამაზიც არის და შემოსავალიც დიდი იცის! ჩამოივლის წელიწადში ორხელ ჩვენი ბიქტორა-მედაფნე, წეიღებს ამ ფოთოლს რუსეთში... იმასაც კარგი ხეირი აქვს და მეც არა ვარ გულდაწყვეტილი. იმისი მაინც ალარ მეშინია, — ამ ბაზარზე თავზე გადასაგდებ მანეთიანებს რომ ვარიგებ! ლომა-უკუღმა, ვინმემ ქრთამის მიცემაში არ დამიჭიროს და ესეც კიდევ ერთი-ორი თუმანი არ დამიჯდეს!“.

ღმერთმა ნუ გამაგონოს მეტი ასეთი აღსარება...

ამჯერად კი ვითარება ძირიან-ფესვიანად შეიცვალა: გააუქმეს ეს ქვეყნის ყბაში ჩავარდნილი კანტორები, მოსახლეობის ნაჭარბ საქონელს ადგილობრივ შეისყიდის კოლმეურნეობა ყოველგვარი ფუსფუსისა და დაბრკოლების გარეშე და ფულსაც იქვე გადაუხდის, მაგრამ ეს როდი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის გაადვილება, და როგორც იტყვიან, სუფთა ხელებით ვაჭრობა: დამზადების ახალი წესი უფრო დაუახლოვებს ერთმანეთს პირად და საზოგადო მეურნეობებს: ახლა უკვე მყიდველი — კოლექტიური თუ საბჭოთა მეურნეობა თვითონ მიატანს თვალს, რომ რასაც ჩაიბარებს, ბიწი და ზადი არა ჰქონდეს, თორემ ზარალს არც არავინ ჩამოაწერს და არც არავინ გადაუხდის.

საზოგადო მეურნეობებმა ერთგვარი მფარველობაც უნდა გაუწიოს გლეხის საკარმიდამო ნაკვეთს. მანქანა, სასუქი, საქონლის საკვები, ბაღ-ვენახის წამალი, — ყველაფერი, დროისად უნდა მიაშველოს, თორემ ცალი ხელით ტაში არ დაიკვრება, ორი ხელი კი ქვეყანას გადააბრუნებს...

IX.

ანჯელის ვეება ჭალა-მინდვრებს აბაშის ბეღელს ეძახიან. ყველაზე მეტი და კარგი სიმინდი ანჯელში მოჰყავს აბაშელ გლეხს, მაგრამ უბედურება ეგ არის, — აბაშის ყველაზე ნაყოფიერი მამული რიონის გაღმა მდებარეობს.

რიონი კი ამ ადგილებში ისეთი ტანსრული და განიერია, ნავი და ბორანი ასე ადვილად ვერ მიუდგება. ამიტომ ხიდის უქონლობის გამო ანჯელში მიმოსვლა ერთობ გაძნელებულია. აბაშელმა კაცმა სამტრედიისა და ლანჩხუთის რაიონებს უნდა შემოუაროს, ასი და ასოცი ზედმეტი კილომეტრი უნდა გალიოს, რომ თავის ყანაში მოხვდეს.

მუშა კაცი ამოდენა გზას რომ გაივლის, მერე იმის შრომას რა მადლი და ბარაქა ექნება. ეს კიდევ არაფერი: თუ წვიმამ მოგისწრო, საყანე ბილიკი გაუვალ ლაფად იქცევა და ვერანაირი სატვირთო მანქანა იქიდან ვერ გამოაღწევს.

ყანის მუშები ღამეს ტყისპირას ათევენ კარვებსა და ფარდულებში. უგზოობის გამო აქ ფეხი ვერ მოიკიდა აბაშელმა გლეხმა, ვერ დასახლდა. ეზოკარი ვერ შემოღობა. იგი მხოლოდ მაშინ ჩამოდის ანჯელში, როცა სიმინდს თოხი ან ნამგალი სჭირდება. შარშან უგზოობის გამო რამდენი სიმინდი დაიღუპა.

ხიდი რიონზე — ეს იყო ყველაზე დიდი ოცნება მეგრელი გლეხისა, ამ ხიდზე ოცნებობდა ბარში მცხოვრები გურული კაციც, მაგრამ წელი წელს მისდევდა, ჟამი ჟამს, ამ ოცნებას კი ახდენა არ ეწერა.

განა ცოტა იყო ჩვენში ისეთი ადამიანი, ვისაც გული შესტკიოდა ამ საერთო საქმეზე, რამდენი მხურვალე სიტყვა წარმოთქმულა საჯაროდ, რამდენი წერილი დაწერილა, რამდენი მოხსენება, მაგრამ გულცივობამ გზა გადაუკეტა ამ ხალხის ნაანფიქრს. თუმცა ერთხელ ყინული გალხვა და ბოლოს და ბოლოს ხიდის აშენება გადასწყვიტეს. და სწორედ მაშინ იჩინა თავი ერთმა ჩვენმა მოურჩენელმა სენმა, რამაც თავის დროზე არა ერთი და ორი სასარგებლო საქმე ჩაშალა... ორი მეზობელი ქალაქი, ცხაკაია და აბაშა, ერთმანეთს ჯიბრში ჩაუდგნენ და იმდენი იდავეს და იკამათეს, თუ საიდ აშენებულიყო ახალი ხიდი რიონზე, იმდენი წერეს და ილაყბეს, სანამ ყველაფერს ყაელი არ გაუვიდა, სანამ ამ ხიდის პირველსახე ყველა განრიგიდან არ ამოვარდა.

როგორც ეტყობა, არც „ზევიდან“ იკლავდნენ თავს, რომ ამ დავიდარაბას დროისად მოღებოდა ბოლო და მეზობლები შეთანხმებულიყვნენ.

ასე დაესვა ჯვარი ამ მეტად საშურ საქმეს და, ვინ იცის, კიდევ როდის გამოუჩნდებოდა ამ ხიდს ჭირისუფალი, რომ...

ისევ ეს მაშველი **რომ...**

მე არა მგონია, მართალმა და უანგარო კაცმა გულით მოინდომოს რაიმე და მიზანს არ მიაღწიოს. დიდი მონდომება თავისთავად დიდი ძალ-ღონეა და თუ ამავე დროს წმინდა სიმართლეც გამოძრავებს, არ შეიძლება შენი დამარცხება.

ქვეყანას ბობოქარი და მოუსვენარი ადამიანები აშენებენ, როცა ისინი სიკეთის მოციქულები არიან, და ქვეყანას ბობოქარი და მოუსვენარი ადამიანები ანგრევენ, როცა ისინი ეშმაკის კვალზე შედგებიან.

მეტად მოუსვენარი კაცია გურამ მგელაძე, მაგრამ მისი მოუსვენრობა — ეს არ არის უნაყოფო ფუსფუსი და ჯახირი, ყველას რომ აწუხებს და ძარღვებს უშლის და ჰქმნის თავის გარშემო უსარგებლო დაძაბულობას. ეს არის მოუსვენრობა ღარში მიშვებული წყალისა. მხოლოდ ერთი მიზანი ასულდგმულებს ამ წყალს: ყველა თავისი შხეფი და ჩქერი ერთპირად შეჰკრას და წისქვილის ბორბალი დააბრუნოს.

გურამ მგელაძის მუშაობის რიგი და წესი სწორედ ამ ღარის ნაკადს მაგონებს. იგი არასდროს შუაკზაზე არ გაჩერდება, ცხოვრების ათასი წვრილმანი მთავარ საღონარს ვერ დაავიწყებს და, თუ რამ გულში ჩაუვარდა, იმ საქმეს ბოლომდე მიჰყვება: — არც თვითონ მოისვენებს და არც სხვებს მოასვენებს, თუნდაც ამ შემართებამ ტახტი დააკარგვინოს.

ასეთი კაცი, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა ამგვარ გარემოებას, და მართლაც აბაშაში მუშაობის დაწყების პირველი დღიდანვე გურამ მგელაძემ გულში ამოიჭრა, რიონზე ხიდი უნდა აშენდესო.

ოდესმე ალბათ არა ერთი და ორი ნარკვევი მიეძღვნება ამ ხიდის აშენების ამბავს და მაშინ უფრო მკაფიოდ გამოჩნდება, თუ რა ამაგი დასდო აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა ამ საშვილიშვილო საქმეს...

ახლა კი მხოლოდ ვიტყვი: თუ არა მისი შეუპოვრობა და სიმტკიცე, მისი მოუტეხელი ხასიათი — ამ ხიდის ნახაზები კიდევ კარგახანს ვერ გაცილდებოდა საუწყებო არქივის დავთრებს.

არა ერთი და ორი მილიონი მანეთი უნდა გახარჯულიყო ამ ვეება ხიდის ასაშენებლად. ბევრს არა სჯეროდა, რომ ჩვენი სახელმწიფო ამ მილიონებს გაიღებდა და სადღაც უდაბურ ტაეიზა და ჭაობებში გლეხკაცს შრომას შუუმსუბუქებდა. მაგრამ ეს სჯეროდა აბაშელი კომუნისტების ხელმძღვანელს, სჯეროდა ცხაკაიას რაიკომის პირველ მდივანს ვახტანგ ესვანჯიას და სწორედ მათმა ნაფიქრალმა და ნაანზრევმა, მრავალჯერ აწონილ-დაწონილმა სიტყვამ დაარწმუნა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელები, რომ რიონის გაღმა-გამოღმა ნაპირები უნდა შეერთებულიყო.

თენდება. პირველად გეგონება, ტყეში ქარი დადისო, ისე მოშრიალებს წყალუხვი რიონი დილის სიჩუმეში.

მდორედ მოედინება მძიმე წყალი ნაპირებჩაქცეულ კალაპოტში, მდორედ მოედინება, მაგრამ თუ კარგად დაკვირდები, შაშინვე იგრძნობა მისი ფარული საშინელი ღონე, გაზაფხულზე ამ ვეება ჯებირებს რომ წალეკავს და ნათესებს დატბორავს.

მოდის და მოაქვს ნაყოფიერი შლამი და ლექი და, სადაც მისი ტალღა მშვიდად გადაივლის, იქ სიმინდმა გაგიტეხა ი�i. იმოდენა ტალოებს გაიკეთებს, არსენას მტკაველიც ვერ გადასწვდება.

მდინარეს ალაგ-ალაგ დილის თხელი ბურუსი ადგას, ლანდად სჩანან წყალში ჩაყრილი ვეება მალალი ბურჯები. მთელი ნაპირი დაუფარავს სამშენებლო მანქანებსა და ხელსაწყო-იარაღებს, ცემენტის ფარდულებს, საწვავ-საპოხი მასალის კასრებს, რკინა-ბეტონის უზარმაზარ ლოდებს.

ადრეა, მუშები ჯერ კიდევ არა სჩანან, მხოლოდ ორი კაცი შლის და ასწორებს გზისპირა დაყრილ ხრეშს.

— ხიდი გაისად უნდა დამთავრდეს, — მეუბნება გურამი და ფრთხილად მიმიძღვება რკინისა და ქვა-ღორღის ზედაპირაში: — დიდმა ხიდმა გზების მომრავლება იცის! კოლხეთში უკვე ალარ დარჩება ისეთი კუთხე-ადგილი, კაცი თავისუფლად რომ ვერ მიუდგეს. თანაც ეს ხიდი კარგა მანძილზე შეამოკლებს სოხუმ-ბათუმის გზას. მაგრამ მე მაინც ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ ანჯელის გახსენება უკვე ალარ მოუშლის გუნებას აბაშელ მესიმინდეს!

ამას რომ ლაპარაკობს, ტუჩ-პირი ჩუმ-ჩუმად უცინის, თითქოს უკვე ხედავს ჭაობიანი ტყეების კორომებში შეკარდნილ გზებს, ხიდის მისახედ-მოსახედზე ახლად წამოდგმულ ოდა-სახლებს.

ბევრი კარგი ადამიანი შემხვედრია ცხოვრებაში, მაგრამ იშვიათად მინახავს კაცი, ასე რომ უხაროდეს მეორე კაცის გახარება.

X.

ანჯელიდან მალე გამოვბრუნდით.

წვიმას ეპირებდა. გვეშინოდა, ჩვენი მანქანა სადმე გზაში არ ჩარჩენილიყო, ერთი წამოზიდეფება, — და აქაურობა ისე ალაფდება, ტრაქტორის მეტი ვერაფერი გიშველის.

სოფელ ნიგოეთში მგელაძემ მანქანა შეაჩერა და მითხრა:

— ხედავ ამ პატარა ფერმას? აკეთის ფერმას ეძახიან. ლანჩხუთის რაიონს ეკუთვნის, თუ არ გეზარება, მოდი ერთი იქაც შევიხედოთ. რაღაც უნდა გაჩვენო!

მინდვრის ბოლოში ორი დაბალი შენობა იდგა, ძველი და შეუხედავი; აქ რა ისეთი ჯადო სანახავი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვიცოდი, ჩემი მასპინძელი ტყუილუბრალოდ არც თვითონ მოცდებოდა და არც სხვას მოაცდენდა, ამიტომ თავი დავუქნიე და მანქანიდან გადმოვედი.

— აგერ მგონი ფერმის გამგეც მოდის, თუმცა რაღა მგონი, — ნამდვილად ის არის! ცოტა კოჭლობს და სხვაში არ შეგეშლება!

ასე გავიცანი მეტად საინტერესო ადამიანი, აკეთელი მეჯოგე კოლია ებრალიძე. ამ შუახანს გადაცილებულ, ნაჯაფ-ნაამაგარ კაცს ახლაც ისეთი ცოცხალი თვალები ჰქონდა, ისეთი მარდი მიხრა-მოხრა და სწრაფი სიტყვა-ბასუხი, გურულ კაცს მილეთის ხალხში რომ გამოარჩევს.

— შენი ძროხები უნდა გვაჩვენო, კოლია-ბატონო!

— კი, შენი ჭირიმე, წამობრძანდით! — გვითხრა კოლიამ და წინ გაგვიძღვა.

მდინარე ფიჩორას ნაპირს გავყევით.

ამ დროს არხის გადაღმა ლომა-წითელი პირუტყვი დავინახე. ტანადი, ქედმაღალი, — ტყისპირას მედიდურად იდგა და ისე დაძაგრული იცქირებოდა ჩემსკენ, რომ თავდაპირველად ირემი მეგონა,— აგერ-აგერ კამარას შეჰკრავს და ტყეს შეერევაო.

ახლო რომ მივედი, ერთი კი დაიფრთხვინა და წაბლისფერი ბრიალა თვალები მომანათა. დგომა და აღნაგობა მართლაც რომ ირმისა ჰქონდა, მხოლოდ ცოტა დაბალი და სავსე მუცელი ანელებდა იმ პირველი თვალის მოლანდებას.

რქები კი...

რქები ესხა ნამდვილად მგელთან საბრძოლველი: გაშლილი, თითქოს საგანგებოდ წამახული და წინწაყრილი. ისევ ისე დაძაგრული მომჩერებოდა, გეგონებოდა, ადამიანს პირველად ხედავსო.

კოლია ებრალიძემ გაოცება შემატყო და მითხრა:

— ეს არის ბატონო, კვარაცხელიას ძროხა. დღემდე არ გინახავთ? ტყუილად კი არ ეძახიან ტყის ძროხას, არ მოწონს უცხო კაცი!

არა, არ მინახავს ჩემო კოლია, მაგრამ მთელი ჩემი ბავშვობა კვარაცხელიას გვარი მესმოდა ბაბუაჩემის, დაკით ვამაკიძის ოჯახში. დიდჯიხაიშში ეცხოვრობდი მაშინ.

დღე ისე არ დადამდებოდა, რომ ბაბუაჩემს კვარაცხელიას ხარი ან ძროხა არ ეხსენებინა. არა მარტო ბაბუაჩემი, ვინღა არ შენატროდა კვარაცხელიას ჯიშის საქონელს, მაგრამ ყველაზე მეტად ღარიბი გლეხების სიზმრებში დადიოდნენ ეს ლომა-წითელი ხარები.

ამ შორეულ წლებში ერთი ტელეი თეთრი სვანური ხარი ოცდაათ თუმნად რომ იყიდებოდა ზუგდიდის ბაზარზე, კვარაცხელიას ლომა-წითელ ხარებს ნაღდი სამოცი თუმანი უნდოდა. დიდი ფასი კი ედო ამ კოლხური ჯიშის საქონელს, მაგრამ იგი ორჯერ მეტი გამწეველიც იყო. დღიურ ალოს შუადღის კარამდე მოათავებდა, — უღელი მაინც არ დაეტყობოდა.

რაგინდ დაგვალული და გაქანებული არ უნდა ყოფილიყო ნიადაგი, კვარაცხელიას ლონიერ ხარებს სახნისი მაინც ღრმად ჩაჭქონდა მიწაში და მარცვალს გაღივება არ უჭირდა. პირთამდე გაძეძგილ ფარდიან ურემს ერთი მიწოლით აიტანდნენ ურთის აღმართზე, სადაც ზოგჯერ კამეჩიც კი მინახავს მუხლმოდრეკილი.

კვარაცხელიას წესად ჰქონდა, სახარე ხმოს დედას არასდროს არ მოწვალებდნენ. სანამ ძროხას რძე არ გაუშრებოდა, ხბოს ძუძუს არ მოსწყვეტდნენ. ამიტომ იყო კოლხური ხარი ესოდენ ძლიერი, მარდი და ამტანი.

კვარაცხელიას ძროხაც ასევე მარდი და ამტანი გამოდგა. მისი ამბავი ნამდვილად ზღაპარი ეგონება ადამიანს. ყოველ შემთხვევაში, რაც მე ვნახე და გავიგონე აკეთის ფერმაში, — ის რაც მიამბეს აბაშელმა და აკეთელმა მწყემსებმა, მეტად მოულოდნელი იყო ჩემთვის და დიდი საფიქრალიც გამიჩინა.

და მეც გზიდან გადავუხვიე და ძველი მეგრელი მეჯოგეების ნაბინავარს მივუბრუნდი.

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში მეჯოგე კვარაცხელიებმა შექმნეს იმგვარი ჯიშის ხარი და ძროხა, ყველაზე კეთილად, ყველაზე უწყინარად რომ შეეგუა და შეეთვისა კოლხეთის ბუნებას. იგი ისევე განუყოფელი იყო მისგან, როგორც კოლხური სიმინდი, როგორც ჭანის წყალი, როგორც თხმელის ტყეები. ამიტომ იყო, რომ კვარაცხელიას მომთაბარე ხარ-ძროხას ბაგა-ბოსელი არ სჭირდებოდა. ერთი ღამე არ გაუთევია გადახურულში კვარაცხელიას საქონელს.

ზამთარ-ზაფხულ, დარსა თუ ავდარში, ჯოგი მიშვებული იყო ნებაზე კოლხეთის ჭალატყეებში, ჭალიასტომისა და ჯაჯის ტბის მიდამოებში, ლებარდესა და ადიგენის მთიანეთში.

მისი ჭერი მაღალი ზეცა იყო, მისი ბაგა — შიშველი მიწა; ხოლო თუკი ყინვა-სიცივე ლაჰკრავდა, ჯოგი თვითონვე შეაფარებდა თავს შქერსა და ეკალ-ბარდებს.

საკვების მოძიების გასაოცარი უნარი ჰქონდა კვარაცხელიას ხარ-ძროხას. ამიტომ აქაური უძალო თოვლი იმას ვერაფერს დააკლებდა.

ზამთარში თივა და ჩალა-ფუჩეჩი არ უნდოდა, არა მარტო თავშესაფარს, ეკალ-ბარდებში საზრდოსაც პოულობდა იგი. აქ მუდამ მწვანედ ღაღანებდა ნოყიერი ბერსელა ბალახი, თბილი ბარდის ძირებში რომ იცის ამოყრა; ჯოგი ეტანებოდა ლაქაშს, მყუდროში გაფოთლილ სუროს, სძოვდა ყველაფერს, რაც კი მიწიაპირს ფარავდა. და ისეთი ხარბი და მეცადინე მაძოვარი იყო, — ამითაც კი სჯობნიდა ყველა სხვა ჯიშის პირუტყვს. შუადღის მოწვენამდე კვარაცხელიას საქონელი უკვე მაღარი იყო.

— ძალიან ჯანსაღი პირუტყვია, ბატონო! — მეუბნება კოლია ებრალიძე და ეს კოჭლი კაცი ისე სწრაფად მიტუსტუსებს მტვრიან ბილიკზე, კაი მაგარი ფოსტალიონიც კი ვერ ღაეწევა ახლა.

კიდევ კარგი, ფერმა აგერ არის, ერთი კაცის დაძახებაზე, თორემ ჩემი მასპინძლის აყოლა, რა თქმა უნდა, სიკეთეს არ მომიტანდა.

— რიყის ქვას მეერევა რამე ავადმყოფობა? ასეა ეგენიც, ბატონო! ციებაზე საშინელი რა უნდა იყოს! მაგრამ ერთხელ მეც არ გამიგია, ისე გადაიტანეს ეს დაწყევლილი სენი!

არამარტო სიარული, ლაპარაკიც ჩქარი იცის ჩემმა მასპინძელმა. ჩაწერას ვერ ვასწრებ, ისე სულმოუთქმელად მიამბობს იგი კვარაცხელიას ჯოგის ამბავს.

აქარა-გურიის მთებში რომ აცოცდებოდა, ჯოგი ბარისაკენ იზამდა პირს. ჩაიბალახებდა სარიანჭონისა და ანჯელის ჭალა-მინდვრებს, ძერე გადასცურავდა ვეება რიონს, — მისი ცივი წყალი უკვე კბილს სტეხდა პირუტყვს, — და საზამთრო ბინას ჭალიასტომის მისახედ-მოსახედზე დაიდებდა, ჭალადიდის საძოვრებზე.

— იცი, ჩემო ბატონო, როგორ ინახავდა თვითონ ძიკი კვარაცხელია ჯიშის სიწმინდეს? თუ კი მოხდებოდა და მისი ლომა-წითელი ძროხა სხვა ფერის ხბოს მოიგებდა, იმ ხბოს მაშინვე თავს წაიცლიდნენ, ჯოგში არ გაურეკდნენ, არ გამოზრდიდნენ, რათა ჯოგის წმინდა სისხლს უჯიშო სისხლი არ შერეოდა. ახალშოგებულ ხბოს ჯილაგის ფერი უნდა გამოჰყოლოდა, — ეს იყო კანონი.

ასე მოაშენეს ძმებმა კვარაცხელიებმა მომთაბარე ხარი და ძროხა, კოლხეთის მიწა-წყალზე კაცი უკეთესს რომ ვერ ინატრებდა.

— ძლივს შევეჩვიე ბატონო, რკინის ვედროს. ძველად კვარაცხელიას ძროხას ნიგებში წველიდნენ. ნიგა ხისა იყო და რძე შიგ უბამოდ ჩადიოდა. რკინის ხმა კი აფრთხობდა პირუტყვს და მოსაწველად არ გვიჩერდებოდა; არც ბაწარი უყვარდა, ბაგაზე ვერ დაბამდი. ისეთი ფეთება იცოდა, მაგრამ ახლა ყველაფერს შეეგუა, ამ მხრივ საკვირველი საქონელია მართლა!

კვარაცხელიას ძროხა დღეში ათ-თორმეტ ლიტრა რძეს იწველიდა. ამ მხრივ იგი ვერ გაუტოლდება ვერც შვიცისა და ვერც შავერელი ჯიშის საქონელს, მაგრამ კვარაცხელიას ძროხის შენახვა და მოვლა-პატრონობა, როგორც კოლია ებრალიძემ მითხრა, თითქმის არაფერი არ ეღირდა პატრონს. თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ძროხის რძისა და სულუგუნს ვერც ერთი სხვა ჯიშის საქონლის ჰამო ვერ შეედრება. დღენიადაგ სუფთა ჰაერზე მომთაბარე საქონელს არა მარტო რძე, ხორციც უმაღლესი ხარისხისა ჰქონდა.

XI.

ჩვენი მრგვალი მაგიდის გარშემო დაუსწრებლად შეიკრიბნენ ქართული სოფლის ტრფიალი ადამიანები.

ნოდარ ჭითანავა
სოფლის მეურნეობის მინისტრი

„ამერიკაში კარგახანია დაამკვიდრეს პირდაპირ ცის ქვეშ, ბუნების წიაღში, პირუტყვის მოვლა-პატრონობის წესი და რიგი. ამჟამად ჩვენში, აღმოსავლეთ საქართველოში იქმნება წნორის უბანი, სადაც გასასუქებლად დადგება ათი ათასი სული პირუტყვი. საოცარი ის არის, რომ საქონლის მოშენებისა და შენახვის ამგვარი წესი ჯერ კიდევ ძველთაგანვე შემოიღეს და განამტკიცეს მეჯოგე კვარაცხელიებმა. ეს ამბავი ერთხელ კიდევ მოგვაგონებს, რომ ჩვენთვის დიდად სასარგებლო ექნება, თუ დასავლეთ საქართველოს ისევ დაუბრუნდება კვარაცხელიას საქონელი. რა თქმა უნდა, იგი ხელს არ შეუშლის გარედან შემოყვანილი საქონლის მოშენება-მომრავლებას. ჩვენი მდიდარი ალპური სათიბ-საძოვრებიდან თივას ბარში ვერ ჩამოიტან, ვერავითარი მანქანა იმ მთიანეთს ვერ მიუდგება, ამიტომ მთა თუ არ მიდის ნახირთან, ისევ ნახირი უნდა ავიდეს მთაში.

საქართველო უნდა გახდეს სამთო მეცხოველეობის კერა! თუ ეს არ მოხდა, მაშინ ჩვენი მთიანეთი თანდათან გაღარიბდება და დაცარიელდება. პირველი ნიშანი უკვე მოგვცა ზემო-რაჭის სოფლებმა და ხევსურეთმა! გული გეწვის, როცა ამ მიტოვებულ ოდებსა და კოშკებს შეჰყურებ! ჩვენ დიდხანს ვერ დაეღწიეთ თავი ერთი შემცდარი აზრის გავლენას, — თითქოს მთიელ კაცს თავის პირად მეურნეობაში სამი-ოთხი ძროხის მეტი არ უნდა ჰყოლოდა! რატომ სამი-ოთხი და მეტი არა, თუ კი ამდენ საქონელს მოუვლიდა და შეინახავდა, თუ კი საზრდო და საძოვარი ეყოფოდა! სად წავიდოდა მისი რძე და ერბო, მისი ხორცი და ქონი?! ისევ ჩვენ არ დაგვიბრუნდებოდა? ისევ ქართველ კაცს არ მოხმარდებოდა? ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი ჯიშების შერჩევას, საქართველოს მთიანეთში რომ გამოდგება“.

(გაგრძელება იქნება).

ს ურ ა თ ზ ე: ტყვარის სანაშენე დეკეულის გამოსაზრდელი ფერმა. ფ. დათიკაშვილის ფოტო („კომუნისტი“).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 164, 165, 166, 167.

მშვენებლის სახელოვანი გზა

ნ. მ. ესაკიას დაბადების 70-ე წლისთავის გამო

ნიკოლოზ მიხეილის-ძე ესაკია ამ ღირსშესანიშნავ თარიღს შემოქმედებითი ძიებების, აქტიური საინჟინრო საქმიანობის პიროდში ეგებება. იგი ჩვეულებრივად მწყობრშია, მისთვის დამახასიათებელი ენთუზიაზმითა და ენერგიით ემსახურება საყვარელ საქმეს.

ნიკოლოზ ესაკიას ცხოვრების 70 წლის მთელ ეპოქას მოიცავს მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობაში — მეტროშენებლობითა და გვირაბშენებლობით დაწყებული და იმ დიდი საინჟინრო ნაგებობებით დამთავრებული, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე მისი შრომითი საქმიანობის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა სადგურები „პაველეცკი“, „ლერმონტოვი“, „მაიაკოვსკი“, სადგურებს შორის გადასარბენი გვირაბები და რამდენიმე სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტი.

დიდი სამამულო ომის პერიოდში, საბჭოთა კავშირზე ფაშისტური არმიის მოხანძარული თავდასხმის პირველივე დღეებიდან ნიკოლოზ ესაკიას რამდენიმე დიდი ობიექტის მშენებლობა დაევალა. მისი ხელმძღვანელობით დამპროექტებლებთან ერთად სხვადასხვა ობიექტის სამუშაოთა წარმოებისა და რაციონალურნით მოპირკეთების პროგრესული მეთოდები დაინერგა. ამის შედეგად ბევრი ნაგებობის მშენებლობა მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაში და საუცხო ხარისხით შესრულდა. ამ ნაგებობათა მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ მშენებლობის კოლექტივმა, რომელსაც ნ. ესაკია ხელმძღვანელობდა, მრავალჯერ დაამსახურა პარტიისა და მთავრობის მადლობა.

1942 წელს იგი ვოლგისპირეთის საინჟინრო ნაგებობის მშენებლობის უფროსად იგზავნება. სადაც მისი ხელმძღვანელობით კოლექტივმა მშენებლობის რთულ პირობებში დასახულ ვადაში და საუცხოო ხარისხით დამთავრა ეს ნაგებობა.

1943 წელს, როცა ფაშისტები ვოლგისიისაკენ, ქალაქ სოხუმის მისადგომებთან მიიწევდნენ, ნ. ესაკია შავი ზღვის რკინიგზის გვირაბთა მშენებლობის უფროსად დაინიშნა, 1945 წელს კი — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს მთავარგვირაბმეტროშენის უფროსის მოადგილედ.

1946-1960 წლებში მს ბევრი დიდი მშენებლობის ხელმძღვანელობა ევალება. ამ მშენებლობებზე მისი მეთაურობით განხორციელდა ბაბუღური საინჟინრო გადაწყვეტანი, დაინერგა სამუშაოთა წარმოების პროგრესული მეთოდები, რომლებსაც შემდგომში ბევრ სხვა მშენებლობაზე მიმართეს.

დაოკეხრომელი საინჟინრო შემოქმედებითი ღვაწლისათვის, მრავალი ტექნიკური პროგრესული მეთოდის დანერგვისათვის, მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, როგორც სამშენებლო ორგანიზაციათა თვალსაჩინო ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ ესაკიამ მთავრობის საპატიო ჯილდოები დაიმსახურა. იგი დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენით, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მრავალი მედლით, მენეჯა სოციალისტური შრომის გმირის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს წოდებანი.

ოჯახური მდგომარეობის გამო ნიკოლოზ ესაკია მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა. სწორედ ამ დროს თბილისის მეტროპოლიტენის შენებელებმ მისი გამოცდილება დასჭირდათ. იგი მთავარ ტექნოლოგად იწყებს მუშაობას თბილისგირაბმშენში.

1964 წელს თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რთული ჰიდროგეოლოგიური პირობები გადაუჭრელ პრობლემებს ქმნიდა. სწორედ აქ გამოვლინდა გამოცდილი ინჟინრის შემოქმედებითი საზრიანობა. პირველი რიგის პირველი უბნის მთელ ტრასაზე წყლის განსაკუთრებით ძლიერი ნაკადი იყო სადგურ „ვაგზლის მოედნის“ სამგვირაბში. გრუნტს წყლებს სულფატური აგრესია ახასიათებდა. ნიკოლოზ ესაკიას გონებამ, ენერგიამ და გარკვამ, კოლექტივისადმი ხელმძღვანელობის უნარმა გაიმარჯვა. სიძნელეებმა უკან დაიხია. წყალზადენის ფილტრაცია შეწყდა და აღარ იწვევდა ეჭვს, რომ შეიძლებოდა მშენებლობისა და მოსაპირკეთებელი სამუშაოების განგრძობა.

1964 წლიდან 1972 წლამდე ნიკოლოზ ესაკია ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსია. მძიმე ავადმყოფობის გამო მან დროებით შეწყვიტა შრომითი საქმიანობა, მაგრამ მკურნალობის შედეგად აღდგენა ჯანმრთელობა და აი იგი ისევ მისთვის ჩვეული ენერგიულობით მუშაობს თბილისგვირაბმშენში. ნიკოლოზ ესაკია ყოველთვის იქ არის, სადაც განსაკუთრებული სიძნელეა, სადაც გადაუჭრელი პრობლემები წარმოიშობა ხოლმე, სადაც საჭიროა მისი გამოცდილება, უნარი, შეუპოვრობა მიზნის მიღწევაში.

ნ. ესაკია თავისი შრომითი საქმიანობის მანძილზე არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, იყო საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისა და სკკპ XXV ყრილობის დელეგატი. მას მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის წოდება, ორჯერ დაიმსახურა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

ფართო საზოგადოებრიობის ხალხელთ გვიხდა ნიკოლოზ ესაკიას ვესურვოთ ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და წარმატებები თავის კეთილმობილურ შრომაში.

პ. წულუკიძე,
პროფესორი.

ბუნებრივი გაზი მთის სოფლებს

ყაზბეგი. (საკ. კორ.). დაზამთრდებოდა თუ არა, მოხვევ კაცის ერთი დიდი სადარდებელი სათბობი იყო, სიცივეთი რომ არ გაყინულიყვნენ, ოდითგანვე აქაურები შეშას და ნახშირს მეზობელი რაიონებიდან და ქ. ორჯონიკიძიდან ეზიდებოდნენ. ეს ადვილი საქმე როდი იყო.

ახლა კი მაღალმთიან ბევრ სოფელში გიზგიზებს ცისფერი ალი. ბუნებრივი გაზის გამოყენებამ დიდად შეამცირა შეშისა და ქვანახშირის დანახარჯები, ყაზბეგის რაიონში კვლავ გრძელდება გაზიფიკაციის სამუშაოები.

საიუბილეო წლის მეასამე კვარტალში ბუნებრივ გაზს მიიღებენ სოფლები გორისციხე, ტყარშეთი და ფხელში, რასთვისაც მოაქვთ გაზსადენი მილები, წარმოებს მოსამზადებელი სამუშაოები. მთის სოფლების იმ ოჯახებს, რომლებიც ბუნებრივი გაზით სარგებლობენ, წელს სამასზე მეტი ოჯახი დაემატება.

საფრანგეთში, ფესტივალზე

საფრანგეთში ივლისის ბოლო რიცხვებში ეწყობა მსოფლიოს ხალხთა XX საერთაშორისო საიუბილეო ფოლკლორული ფესტივალი, რომელშიც 40 ქვეყნის წარგზავნილები მიიღებენ მონაწილეობას. ხალხური შემოქმედების ამ გრანდიოზულ ფორუმზე საბჭოთა კავშირიდან მიწვეულია ორი კოლექტივი — საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალების, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ქართული ცეკვის სახალხო ანსამბლი „გორდა“ და პოპულარული „ცისფერი ტრიო“.

დელეგაციას თან ახლავს კინოოპერატორი ლ. ახვლედიანი, რომელიც საქართველოს ტელეფილმების სტუდიისათვის გადაიღებს ფილმს.

„კომუნისტის“ კორ.

წერილი უძრაკინიდან

ქმობის ფურცელი

რედაქციის სახელზე დნეპროპეტროვსკის ოლქის პავლოგრადის რაიონის სოფელ იურიევის საშუალო სკოლის წითელ კვალმაძიებელთაგან წერილი მოვიდა. უკრაინელი მოსწავლეები გვატყობინებენ, რომ 1943 წელს მათი სოფლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპა ქართველი მეომარი, უმცროსი ლეიტენანტი იპოლიტე ხუხუა.

ამ ცოტა ხნის წინათ, — იწერებიან ისინი, — ცხაკაიას რაიონის სოფელ ახალსოფლიდან ჩამოვიდნენ ი. ხუხუას მახლობლები, რომლებმაც ბევრი რამ გვიამბეს ჩვენი სოფლის განთავისუფლებისათვის დაღუპული გმირის ცხოვრებაზე. ჩვენ გადავწყვეტეთ მეგობრული მიმოწერა დავაყაროთ ახალსოფლის თანატოლებთან.

წითელმა კვალმაძიებლებმა ამ წერილთან ერთად გამოგვიგზავნეს დნეპროპეტროვსკის საოლქო გაზეთი „პრაპორ იუნოსტის“ ის ნომერი, რომელშიც იპოლიტე ხუხუას სფლავზე გამართული საზეიმო ცერემონიალის ანგარიშია გამოქვეყნებული.

რომ იცოდეთ...

მკვლელია თამბაქო

ქოველი სიგარეტი 5,5 წუთით უმოკლებს სიცოცხლეს მწეველს — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ვრეცი ნოსსენბის ავტორები, რომელიც ბრიტანეთის სამეფო კოლეჯის ექიმებმა მოამზადეს. ამ დოკუმენტში, რომლის სათაურია „თამბაქოს წევა თუ ჯანმრთელობა“, კერძოდ, ნათქვამია: „ამკამად თამბაქოს წევა სიკვდილის ისეთსავე დიდმნიშვნელოვან მიზეზად რჩება, როგორიც ძველად ავადმყოფობათა დიდი ეპიდემიები იყო. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში 1874 წელს თამბაქომ მოკლა 21.400 მამაკაცი და 3.750 ქალი, რომლებიც 35-64 წლისანი იყვნენ. 65 წელზე უფროსი ასაკის მწეველებს ორჯერ მეტი შანსი აქვთ მოკვდნენ ინფარქტით და სამჯერ მეტი — ინსულტით, ვიდრე ამავე ასაკობრივი ჯგუფის ანამწეველებს.

რეიტერი. ლონდონი.

ლენინგრადის სპორტსაზოგადოება

აი საბოლოო შედეგებიც

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით — [illegible] ხუთეულის შესახებ (1-2 — „ლოკომანშინი“ მ. ტალი, მე-3 — ვ. სმისლოვი, 4-5 — რ. ვაპპნიანი, ა. კარპოვი). აი საბოლოო შედეგები: მეექვსე-მეცხრე ადგილები ცხრა-ცხრა ქულით გაიყვეს: ი. ბალაშო